ალჟირი. პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარემ ი. არაფატმა ხაზი გაუსვა არაბული ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების ფესის XII თათბირზე მიღებულ გადაწყვეტილებათა პოზიტიურ ხასიათს. თათბირის დროს, თქვა მან ალეირის საინფორმაციო სააგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში, არაბული ქვეყნების ხელმძღვანელებმა და დელეგაციებმა მაღალი შეფასება მისცეს პალესტინის რეკონსტრუქციას. ეს შეფასება თავისთავად არაბთა მტკიცე პასუხია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელისათვის. იგი იმას მოწმობს, რომ პალესტინის რეკონსტრუქცია ცოცხლობს არაბი ერის გულში.

პალესტინის ხელმძღვანელმა დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია, რომელიც ილაშქრებს ფესის თათბირის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ, კერძოდ, იმ დებულებათა წინააღმდეგ, რომლებიც ითვალისწინებენ პალესტინის დამოუკიდებელი პალესტინის შექმნას. შეერთებულმა შტატებმა და მთელმა მსოფლიომ უნდა იცოდეს, თქვა მან, რომ არავის შეუძლია თავს მოგვაგზავნოს თავისი ნება.

წიგნი სულიერად გვამდიდრებს

— კარბი წიგნი სულიერად ამდიდრებს ადამიანს, შესაბამის განწყობილებას უქმნის მუშაობაში, — უთხრა პოეტ მ. ფოცხიშვილს წარჩინებულმა კაცმა ბ. ბეგეხვი, სოციალისტური შრომის გმირმა ჭ. ბუბლდიაშვილმა, როცა პოეტმა მას სამახსოვრო წარწერით ლექსების ტომი აჩუქა.

პოეტთან მეგობრული შეხვედრა გაიმართა გურჯაანის ტრადიციულ დღესასწაულზე. ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი დიადი მემორიალი ამ დღესასწაულის ცენტრი გახდა. აქ, ღია ეცტრადაზე, რომელიც „ჯარისაკაცის მამის“ დიდებული სკულპტურის გვერდით იყო მოწყობილი, დილიდანვე ჩამოვიდნენ რაიკომპკავშირთა აქტივისტები კაბეთის ყველა რაიონიდან. მათ დაახლოებით 20 ათასი წიგნი ჩამოიტანეს. მათ შორის იყო მხატვრული, პოლიტიკური, სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა. დღესასწაულის მონაწილეებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს ქართულ, რუსულ, უცხო ენებზე გამოცემული ცნობილი საბჭოთა და უცხოელი მწერლების ნაწარმოებებისადმი. ოცამდე წიგნი შეიძინეს დიასახლისმა წ. მეტრეველმა, მოსწავლემ მ. ქიტესამელამ და მრავალმა სხვამ.

დღესასწაული გამსწავლა პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველმდივანმა ბ. შინჯიკაშვილმა, სიტყვა წარმოთქვა წიგნის მოყვარულთა რესპუბლიკური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დ. კაკაბაძემ. წიგნის მნიშვნელობაზე ილაპარაკეს, თავიანთი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა რ. მარგიანმა, მ. ფოცხიშვილმა, რ. ამაშუკელმა, ე. ნიჟარაძემ, კ. კოპერიძემ, შ. ხოდაშვილმა და სხვებმა.

დღესასწაულზე დაამშვენა სიმღერებმა და ცეკვებმა, რომლებიც რაიონის მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეებმა შეასრულეს.

(საქინფორმი).

• •

სურათზე: გურჯაანის რაიკოოპერატივის მოწინავე. გამყიდველი ნუგზარ უტიაშვილი (ცენტრში) წიგნის დღესასწაულზე.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კონტროლზეა მკითხველთა წერილებზე

რედაქციას

უპასუხებენ

„თერჯოლი რაიონის სოფელ ქვედა სიმონეთში მცხოვრები ს. ჩუბინიძე გულისტკივილით გვწერდა, რომ მისმა ყოფილმა რძალმა შვილები მოატოვა და მათი ბედი აღარც კი აინტერესებს.

„ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამმეურნო ბანაკ-ციხეში ასალი ძიებისათვის. მაშ რატომ არ მოგვესწრა ექსპერიმენტები საკუთარრო მეურნეობაშიე?

წარმატება დამოკიდებულია ხალხზე, კონკრეტულ ადამიანზე, რომელიც სათავეში უდგას ამა თუ იმ კონკრეტულ საქმეს, ხაზგასმით აღინიშნა შეხვედრაზე. სწორედ ამიტომ არის ესოდენ საჭირო შემოქმედებითად გარდავქმნათ მუშაობა კადრებთან, მეტადრე ხელმძღვანელებთან. ადამიანებს უნდა ვიხმარებდეთ, ვამჩნევდეთ მათს ძლიერ მხარეებს, მიეფიციანებდეთ ნაკლოვანებებზე. ამ მხრივ ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ხელმძღვანელთა ატესტაციას. ეს საუბლიოს პარტიულ ორგანიზაციებში უკვე დაკვიდრდა ეს ტრადიცია, და თვით ატესტებულთა აზრით — ეს ფრიად საჭირო და სასარგებლო საქმეა. არანაკლებ აუცილებელია შევქმნათ კადრების სრულფასოვანი რეზერვი. ჩვენ უნდა გვაყვიდეს ადამიანები, რომლებიც საპირფოთ შემთხვევაში გაუძღვებიან ამა თუ იმ სამეზოს ან თავსაც მოაბამენ საქმეს, ყოველივე ამისათვის უნდა ვიზრუნოთ წინასწარ, რათა გამოვრიცხოთ წუნი, ვინაიდან ადამიანებან მუშაობაში არსებულ ხარვეზებს მოსდევს ფრიად სავალალო შედეგები — როგორც მატერიალური, ისე მორალური.

დღეს გაგრაში სუფევს სამუშაო ვითარება, ერთმანეთის ნდობისა, ადამიანების მიმართ თავაზიანი დამოკიდებულების ატმოსფერო. იგრძნობა ხელმძღვანელობის სიმტკიცე, იზრდება მისი აუტორიტეტი. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს: გაგრის კომუნისტები, ყველა მშრომელი პირნათლად შეასრულებენ მათ წინაშე დასახულ ამოცანებს.

(საკინფორმი).

ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო უარყოფს

ჰანოი. ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ უარყო ჩინეთის მხარის ცილისმწამებლური მონაპორები იმის შესახებ, თითქოს 10 სექტემბერს ვიეტნამის ორ თვითმფრინავსა დაერღვიოს ჩინეთის სამაერო სივრცე ნგუანსი-ჭუანის ავტონომიურ რაიონში.

ამგვარი მონაპორები, აღნიშნავს სააგენტო, ჩინეთის ხელისუფალთა წინასწარ მოფიქრებული ნაბიჯია, რომლის მიზანია ჩაშლოს ვიეტნამის მხარის წინადადებანი ორი ქვეყნის საზღვარზე. მათი ეროვნული დღესასწაულების გამო შეიარაღებული და სხვა მტრული სათავეები ყველაფრის შესახებ, აგრეთვე მმართველია ვიეტნამ-ჩინეთის საზღვარზე მშვიდობის დამყარების წინააღმდეგ.

ტკბილი მეზვიდოვის საფუძველი

რაბათი. პროგრესისა და სოციალიზმის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გამოძიებულნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ არაბული ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეუფეთრების ფესის XII თათბირის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი რეალისტური ხასიათია არაბთა რიგების შეკავშირების გზაზე. თათბირის მონაწილეთა მიერ მიღებული გეგმის მიზანია არაბთა უფლებების განხორციელება და სამართლიან საფუძველზე ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოწესრიგება.

უაღრესად მნიშვნელოვან წარმოგვიდგენია ის, აღნიშნულია დოკუმენტში, რომ არაბები არ შემოიფარგლონ თანხმობით ერთობლივი პოლიტიკური გეგმის მიმართ. მთა უპირველესი ვალია უზრუნველყონ ამ გეგმის დებულებების წარმატებული განხორციელება.

ბუბუნაობდი

ბუბუნაობდი მახარაძის რაიონის სოფელ ბაგვის ჩაის ფაბრიკაში მზა პროდუქციის მწონავად და სამეზოოად უკანონოდ გამათავისუფლეს, — სწერდა რედაქციას გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველი ლ. აბაშმაძე.

ამის გამო რედა

ქიმიურ ნივთიერებათა კონსტრუქტორები

გვესაუბრება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნ. ლანდია

14 სექტემბერს თბილისში მუშაობა დაიწყო კლორომეტრიისა და ქიმიური თერმოფიზმინანალიზის მიძღვნილმა მეცხრე სრულიად საკავშირო კონფერენციამ, რომელშიც მონაწილეობენ ქვეყნის უდიდესი სამეცნიერო ცენტრების წამყვანი სპეციალისტები.

საქმიფორმის კორესპონდენტმა სთხოვა კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს **ნ. ა. ლანდიას** ეთქვა, თუ რა მნიშვნელობა აქვს მეცნიერთა ამ შეხვედრას.

— თანამედროვე ტექნიკის ბევრი ისეთი მნიშვნელოვანი დარგი გაჩეთბრება, როგორიცაა ქიმიური მრეწველობა, მეტალურგია, ბირთვული ენერგეტიკა, სიბიოტეკ ტექნიკა და სხვა, შეუძლებელია შესაბამისი თერმოდინამიკური გაანგარიშებების გარეშე, — თქვა ნ. ლანდიამ, ნივთიერებათა თერმოდინამიკური თვისებების განსაზღვრის ერთ-ერთი უძველესი მნიშვნელოვანი ექსპერიმენტული მეთოდია კალორიმეტრია — ქიმიური რეაქციებისა და სხვადასხვა პროცესის სითბური ეფექტების პირდაპირი გაზომვა. ამიტომ კონფერენციაზე წარმოდგენილ ნამუშევრებს დიდი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა აქვს.

ქიმიური თერმოდინამიკა სწავლობს ფიზიკურ, ქიმიურ და სხვა პროცესებში ენერგიის გარდაქმნის კანონზომიერებებს. შეიძლება თქვას, რომ ცოდნის ეს დარგი საზოგადოდ წარმოადგენს მეცნიერებს ენერგიის შესახებ. იგი აკავშირებს სხეულების ელექტრულ, მაგნიტურ და სხვა მოცულობებს. ამ მოვლენების შესაწავლა წარმოებს მათში სითბოს მოძრაობის თვალსაზრისით. თერმოდინამიკა უმეტესად დაკავშირებულია ნივთიერებათა აგებულების თეორიასთან, მათი გარდაქმნა ბევრ ფიზიკურ-ქიმიურ კანონთან. ეს საშუალებას გვაძლევს მისი მეთოდები გამოვიყენოთ სხვადასხვანაირი პოლუსნაირი და პროცესების კვლევისათვის, კერძოდ, კონფერენციაზე მოვისმენთ მოხსენებებს, რომლებიც ეხება ამ მეცნიერების გამოყენებას გეოქიმიის, ბუნებრივი მინერალწარმოქმნისა და ბიოლოგიური პროცესების საკითხთა კვლევაში.

„თერმოდინამიკური“, გაანგარიშებანი საშუალებას გვაძლევს თეორიულად ვიწინასწარმეტყველოთ ამა თუ იმ პროცესის ჩატარების შესაძლებლობა, მიმართულება და სისრულე. ამ გაანგარიშებათა შედეგები საინეო რომ იყოს, უაღრესად ზუსტად უნდა ვიცნობდეთ ნივთიერებათა თერმოდინამიკურ თვისებებს. კალორიმეტრიისა და ექსპერიმენტული თერმოდინამიკის თანამედროვე მეთოდები საშუალებას გვაძლევს მივაღწიოთ მატად დიდ სიზუსტეს ნივთიერებათა ისეთი თვისებების განსაზღვრისას, როგორიცაა სითბოტევადობა, ენერგიის წარმოქმნა ნივთიერებათა ელექტროებიდან, მათი ფაზური გარდაქმნები და ა. შ.

საბჭოთა სპეციალისტებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს ალნიშნული მეცნიერული მიმართულებების განვითარებაში. ამ სამეცნიერო ასპარეზზე ბოლო ოცი წლის გარკვეული წვლილი შეაქვთ ქართველ მეცნიერებსაც. თბილისის შეგვიდრაზე წარმოდგენილი იქნება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის, ფიზიკის, მეტალურგიისა და სხვა ინსტიტუტების 20-მდე მოხსენება.

კონფერენცია მუშაობს რვა სექციად, რომელთაგან ერთი განიხილავს ბიოკალორიმეტრიის საკითხებს. მეცნიერები კონფერენციის მოახსენებენ უზუსტეს გამოკვლევებსა და ექსპერიმენტებს, რომლებიც შესრულდა მოლეკულურ და უჯრედსშორის დონეზე. ორგანიზმსა და მცენარეში მიმდინარე ბევრი პროცესის საიდუმლოების ამოცნობის მიზნით, ამ თემაზე მთელ რიგ ინფორმაციებს გააკეთებენ ქართველი მეცნიერების წარმომადგენლებიც.

— იმედი გვაქვს, — თქვა დასასრულ ნ. ა. ლანდიამ — რომ კონფერენცია, რომელიც ამ თვეში ერევანში ეკონომიკურ-ფინანსურ ინსტიტუტში მიიღებ ადგილს, ბევრ ახალი ბიჯი იყოს, შენს საკეთილდღეოდ გავაკეთე, შარშარ. რომ არ გაბვეულიყავი, — უთხარ ... ...

...

...

#

ᲕᲘᲜ ᲨᲔᲫᲚᲐ ᲒᲐᲐᲡᲬᲝᲠᲝᲡ?

ᲮᲔᲓᲕᲘᲗᲐᲓ მიგვაჩნია იმ აქსიომის გამეორება, რომ ბავშვის გონება თავისებური სუფთა დაფაა და ერთთან ძნელია ზედ ერთხელ დაწერილის წაშლა. როცა საკითხი ბავშვების ეხება, დიდი სიფრთხილით, დაფიქრებით უნდა ბიჭონ-დაიჯონის ყოველი. ამაზე დღეს ადარავინ დავობს.

მითუმეტეს გულსატკივნია, როცა უზუსტობა თუ შეცდომა კარგ საბავშვო სახელმძღვანელოში გაიპარება. რა ქნას ბავშვმა? ბოლ ხომ უეჭველად სჯერა დიდი-ლისა?

ჩემს მეორეკლასელ კოლეგას ლესლიკონი აქვს შემოღებული და ბეჯითად იწერს ოჯახურ ბალთან ახალ სიტყვებს და განმარტებებს. იმ რეფერატ-რომ გადავხედე, ზოგიერთმა განმარტებამ დამაეჭვა. ვიფიქრე, ყურმოკვრეული რაღაც-რაღაცეები ჩაუწერია-მეთქი და გავუსწორე. ბავშვმა თავისი სიმართლის დასამტკიცებლად სახელმძღვანელო დამიდო წინ („Русское слово". 1981 წ.), რას ვერჩოდი! წიგნიდან გადმოუწერია სიტყვასიტყვით. გამოგიტყდებით, ზოგი რამ, მეტი რომ არა, უზუსტოდ მომეჩვენა. აი, მაგალითად:

Чисто мойся — სუფთად იბანე (გვ. 21).

რომელი ქართველი დედა ამტყვის შვილს, პირი სუფთად იბანეო?

Я знаю — მე ვიცი (გვ. 131).

Умею — ვიცი (გვ. 211). დავიჯეროთ, ერთია Знаю და Умею? გაბა მათ სხვა ქართული შესატყვისი არ გააჩნიათ?

Схватил — მოიტაცა (გვ. 27). (ტექსტ. Шарик схватил мяч).

Схватил თუ მოტაცებაა, მაშინ Похищение რაღაა? ტექსტში გარკვევით წერია: Шариков ბურთს პირი ჩაავლო, სტაცო.

Ходим на лыжах — დავდივართ თხილამურებით (გვ. 97) — კალკა. თხილამურებით კი არ დადიან, დასრიალებენ, სრიალებენ.

Болит у тебя — გტკივა.

Уменя болит — მე მტკივა (გვ. 45). აქ (და სხვაგანაც) უეჭველად ერთი პრინციპი უნდა იყოს დაცული — ითარგმნოს ნაცვალსახელით ან უნაცვალსახელოდ. მაგრამ, ვგონებ, მაინც უნაცვალსახელოდ აჯობებდა. ბავშვებმა ბავშვობიდანვე უნდა შეითვისონ ჩვენი ზმნის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა — პირიანობა!

Ложись спать — დაიძინე (გვ. 44). ვფიქრობთ, აქ აუცილებლად უნდა იყოს განმარტებული Ложись, მით უმეტეს, რომ ეს სიტყვა არც წიგნის ბოლოს დართულ ლექსიკონში არის ნახსენები.

Клещи — მარწუხები (გვ. 95). ჯერ ერთი, Клещи მარწუხია და არა მარწუხები. მეორეც, დღეს სიტყვა „იწვნა" იმდენად დამკვიდრდა მეტყველებაში, რომ ლურსმნის ამოსაღებ ხელსაწყოს ალარავინ ეძახის მარწუხს. მარწუხს სხვა ათასგვარი მნიშვნელობა აქვს (იხ. ტექნიკური ტერმინოლოგია").

Скворечня — ზოშინის სახლი (გვ. 96). სახლი ადამიანის გვინახავს, ზოშიებს კი საშობიე უდგათ.

Ставим — ვაგებთ. ვაგებთ კი არა, ვდგამთ ბავშვები საშობიეს (და არა ზოშინის სახლს) ხეებზე კი არ აგებენ, დგამენ.

Покрыты — დაფარულია. (გვ. 49) ამ და სხვა შემთხვევებშიც რიცხვში შეუსაბამობის თავიდან ასაცილებლად, ალბათ, აჯობებდა ამოლიანად მოგვეყვანა ეს ორსიტყვიანი წინადადება: Кусты покрыты, და ერთად აგვეხსნა.

Не знает — არ იცის. (გვ. 109). მაშინ „არ იცის" რაღას ნიშნავს?

— ძინავს (გვ. 135). ძინავს კი არა, სძინავს.

ერთი სიტყვით, სალექსიკონო მასალაში ბევრი რამ არის დასაზუსტებელი.

და კიდევ. მეშვიდე გვერდზე ერთ წლის ბავშვს ეკითხებიან: Где пишется большая буква? Почему? და ქართულად განუმარტავენ (სათაურის პირველი სიტყვა იწერება დიდი ასოთი. ზინადდება იწყება დიდი ასოთი. საკუთარი სახელები აგრეთვე იწერება დიდი ასოთი). დიდი ასოთი სათაურის პირველი სიტყვა იწერება თუ იწყება ან ეს კითხვა Почему? რისთვისღაა დასმული? როგორ უპასუხოს მეორეკლასელმა კითხვას, რატომ იწერება დიდი ასოთ?

მიზანშეუწონლად მიგვაჩნია „Русское слово"-ში ლერმონტოვის „Осень" შეტანა.

ეს თავისთავად უპრეტენზიო ლექსი შეუთავსებელია ქართულ სინამდვილესთან. იგი უსაყვედურებს შემოდგომას, ასე ადრე რად მოხვედიო, რატომ დაგვაკლე სითბო და მზეო. ჩვენში შემოდგომის მობრძანება უხარიათ. მას არც შუქი აკლია და არც სითბო. პირიქით, შემოდგომა საქართველოში ზაფხულს პატარა ბავშვებსაც ამცირებს და არც ძმიე და ხანგრძლივი ზამთრის წინამორბედია. ეს ლექსი რუსეთის კოლორატის გამომხატველია და არ შეეესაბამება ჩვენი ბავშვების წარმოდგენას (პირადს თუ ლიტერატურით შექმნილს) შემოდგომაზე. განა ასე ძნელია მხატვრულად გამართული და ზუსტ-ცნებიანი ერთსტროფიანი ლექსის მოძებნა?

წიგნში ზოგიერთი მასალა ვერ არის რიგიანად შერჩეული და ისინი რაღაც გიურკვეველი პრინციპით არის განლაგებული. მაგალითად, „Первое мая" და „Солнце печет" ბავშვებს იანვარში ეკენებათ დასაზეპირებელი, ხოლო ჩვენი მშვენიერი მაისის ბოლოს, ესე იგი სასწავლო წლის საზეიმო დასასრულის ჟამს შემდგენელნი სასწავლად „В жаркой Африке"-ს და „Кенгуру"-ს გვთავაზობენ.

როგორც ზემოთ ვთქვეთ, ფრიად სამწუხაროა, როცა სამაგვარი სახელმძღვანელოში უზუსტობანი გაიპარეს, მაგრამ კიდევ უფრო სავალალო ის არის, რომ წლეიბის მანძილზე არავინ იზრუნა მის გასასწორებლად. არადა, წიგნს ხუთი შემდგენელი და ორი რედაქტორი აწერს ხელს.

ზ. ლეშკასელი.

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ გროგოლ ბრეგაძეს, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სკკპ ისტორიის კათედრის გამგეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პარტიისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანს დაბადების 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა.

ქუთაისის მაზრის სოფელ ცეცხვათში ღარიბი გლეხის ოჯახში დაიბადა იგი. აქვე მიიღო დაწყებული განათლება. 1929 წელს კომკავშირის ორგანიზაციამ მას ახალგაზრდობის პოლიტიკური განათლების ხაზ პროპაგანდისტობა დაავალა. იმ დღიდან დაწყებული მარქსისტულ-ლენინური, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის აღზრდის საპატო საქმეს ემსახურება.



ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ, ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔ, ᲐᲦᲛᲨᲠᲓᲔᲚᲘ

1929 წელს გ. ბრეგაძე მუშაობას იწყებს ტყიბულის ქვანახშირის შახტში, მალე ეუფლება მნგრეველის პროფესიას და როგორც დამკვრელ მუშას 1931 წელს იღებენ კომუნისტური პარტიის რიგებში. 1932 წელს იგი წარმოგზავნეს ტყიბულის სამთო-სამრეწველო სასწავლებელში.

საქართველოს კპ (ბ) ტყიბულის რაიკომი გ. ბრეგაძეს ამიერკავკასიის უმაღლეს კომუნისტურ სკოლაში გზავნის სასწავლებლად. ამის შემდეგ მას აწიანურებენ ლექტორად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილებაში, სადაც იგი წარმატებით მუშაობს დიდი სამამული ომის დაწყებამდე. 1941-1945 წლებში მოქმედი საბჭოთა არმიის რიგებშია.

საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზაციის შემდეგ გ. ბრეგაძე 1946-1948 წლებში მუშაობს საქართველოს კპ (ბ) თბილისის კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელად, ხოლო 1949-1953 წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების სექტორის გამგედ, უფროსად „აგიტატორის ბლოკნოტის" რედაქტორად და აქტიურად მონაწილეობს საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" ჩამოყალიბებასა და მუშაობაში.

გ. ბრეგაძე 1936 წლიდან ეწევა ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1945-1959 წლებში მუშაობს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგედ, 1959-1967 წლებში — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1967 წლის ოქტომბრიდან დღემდე კი საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სკკპ ისტორიის კათედრის ხელმძღვანელობს.

თავისი მოღვაწეობის ყველა უბანზე გ. ბრეგაძემ ნთლად გამოავლინა გულმოდგინე შრომის უნარი, გამოიქეცა 120-ზე მეტი მეცნიერული შრომა, მათ შორის 12 მონოგრაფია. მის შრომებში ლოგიკური თანამიმდევრულობითა და ღრმა მეცნიერული ცოდნით არის გაშეშებული სკკპ ისტორიისა და თეორიის საკითხები, მკაფიოდ ჩანს ავტორის საღი აზროვნებისა და მეცნიერული კვლევის ნიჭი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გ. ბრეგაძის მონოგრაფიები: „ქართული სოციალისტური ერის ისტორიისათვის" და „საქართველოში ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტის ისტორიული გამოცდილება". მარქსისტულ-ლენინურ ლიტერატურაში ეს პირველი მონოგრაფიებია, როშლებშიც მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნების დონეზეა გაშეშებული საქართველოში ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტის ხანგრძლივ ეტაპზე გამოკვლეულა. მან 40-მდე შრომა მოუძღვნა საბჭოთა პატრიოტებმა და პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლას, ხალხთა ლენინურ მეგობრობას.

საქართველოს ისტორიის ნარკვევების VII და VIII ტომებში შესულია გ. ბრეგაძის ნაშრომები „ქართველი ერის ეროვნული ინტერესები და საქართველოს სსრ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ლენინურ საკითხებზე. გ. ბრეგაძე მარქსიზმ-ლენინიზმის ყოველთა-მძლე მოძღვრის იდეებს დაუეჭრიმელი პროპაგანდისტია. იგი დიდი ყურადღებით და მზრუნველობით ეკიდება ახალგაზრდა მეცნიერული კადრების აღზრდას. მისი უშუალო ხელმძღვანელობით და იმპონენტობით 35-მა ახალგაზრდამ დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

თავის ჟედაგოგიურ-სამეცნიერო მუშაობას გ. ბრეგაძე კარგად უთავსებს აქტიურ პარტიულ და საზოგადოებრივ საქმიანობას, იგი 1967 წლიდან ხელმძღვანელობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების ლექტორთა ჯგუფის სკკპ ისტორიის სექციას, არის აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სკკპ ისტორიის სპეციალიზებული საბჭოების წევრი.

ყველგან, სადაც კი მუშაობს გ. ბრეგაძე, გამოირჩევა მინდობილი საქმისადმი ერთგულებით, პრინციპულობით, შემოქმედებითი აქტიურობით, ამხანაგებისა და თანამშრომლებისადმი გულისხმიერებით, მეგობრული დახმარებითა და მზრუნველობით.

კომუნისტური პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს გ. ბრეგაძის დამსახურებას საბჭოთა სამშობლოს წინაშე: იგი დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის, I და II ხარისხის სამამულო ომის ორდენით, მედლებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელებით, პატივცემა და საბჭოთა ორგანოების, აგრეთვე სსრ კავშირის საზოგადოება „ცოდნის" მრავალი სიგელითა და შრომების კოსკურსში გამარჯვების დიპლომებით.

მოუხედავად შვიდი ათეული წლისა, პროფესორი გ. ბრეგაძე აღსავსეა შემოქმედებითი ენერგიით. მეცნიერულ-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მუშაობის მდგომარეობა გამოცდილების მქონე, კვლავაც განაგრძობს ნაყოფიერ მეცნიერულ-პედაგოგიურ მუშაობას. მისთვის ჩვეული ენერგიითა და ენთუზიაზმით ილვწის სტუდენტი ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდასთვის.

გ. ᲫᲕᲐᲜᲘᲐ,
ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ.

Ი. ᲩᲘᲥᲐᲫᲔ,
ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ.

ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲨᲘ

ᲗᲘᲗᲕᲘᲗ წინ არის ქანდაკება: შიშველ ჯაბუკს თავი ერთმანეთზე გადაწყლართულ ფეხებში ჩაუტანავს, მარჯვენა ხელით სახე დაუფარავს, დაკმეული კუნთები მეტყველებს, რომ ცხოვრების დიდი ტვირთი აწევს ბეჭებზე ჯაბუკს. მნახველს იზიდავს ჯაბუკის ყოველი ნაკეთი, სხეულის ბუნებრიობა, ღიღინაზმი. რა არის ყველივე ეს? ჯაბუკი ძმიე ტვირთს მოუხრია, მაგრამ ვერ გაუსაოსია. იგი სასოწარკვეთილი და მორჩილი როდია. ჩვენ თითქოს ვგრძნობთ, რომ ჯაბუკი წელში გაიმართება, ულელს გადაავდებს, ამაყად წამოდგება და ღიღინერ მუშტებს მრისხანედ აღმართავს.

დაახლოებით ასეთი შინაარსი აქვს ვალერიან მიზანდარის სკულპტურულ ნამუშევარს „ულელქვეშ" (წარსულიდან), რომელიც მისი შემოქმედების აღრეული პერიოდის განეკუთვნება და ჩანაფიქრით, ფსიქოლოგიური განწყობილებით და ორიგინალური შესრულებით თანამედროვე ქართული ხელოვნების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია.

ვალერიან მიზანდარი ქუთაისში დაიბადა, მამამისი — ლევანი ახალგაზრდობის წლებში კადეტთა კორპუსის ორკესტრის ხელმძღვანელობდა. მის ოჯახში ზრიად აყრიდა თავს ქუთაისის მოწონავე ინტელიგენცია — მუსიკოსები, მწერლები, პოეტები. ისეთმა გარემომ პატარა ვალერიანს თავიდანვე ჩაუნერგა ხელოვნების სიყვარული და ისიც ქუთაისის რეალურ სასწავლებელთან არსებულ ოთხწლიან სამხატვრო სტუდიაში შედის. სტუდიას ხელმძღვანელობდა ცნობილი პედაგოგი და მხატვარი ივანე ბეიმეული.

1928 წელს ვ. მიზანდარი უკვე თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტია, სწავლობს ქანდაკებას ფაკულტეტზე. მისი ხელმძღვანელები იყვნენ ქართული რეალისტური ქანდაკების ფუძემდებელი იაკობ ნიკოლაძე და ნიკოლოზ კანდელაკი. ხატვას ასწავლიდნენ ი. შარლემანი, ე. ლანსერე, ი. გრინევსკი, მ. თიმაძე და სხვები.

ჯერ კიდევ აკადემიაში სწავლისას ყურადღება მიიქცია ვ. მიზანდარის ფერწერულმა ნამუშევრებმა „სამხარზე" და „გეგეთის ცეხე", ხოლო მისი სადიპლომო ნამუშევარი „კოლმეურნე" პროფესიული ოსტატობის ნიმუში გახლდათ.

აკადემიის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა ხელოვანი ერთხანს იაკობ ნიკოლაძის - ასისტენტად მუშაობდა. სწორედ ამ ხანებში შექმნა მან შრომის გმირის, ბაქოელი მემანქანის კოსტა ტანასიეიტკის ბიუსტი, რომელიც ექსპონირებული იყო 1931 წელს პირველ საკავშირო გამოფენაზე.

1936 წლიდან ვალერიანი მშობლიურ ქუთაისში ბრუნდება და აქტიურად ებმება ქალაქის კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ეწევა აქტიურ შემოქმედებითს და ბედგიგროვრ საქმიანობას. მან ბევრი ახალგაზრდა აზიარა მხატვრობის რთულ და მშვენიერ პროფესიას. უპირველესად მისივე ვაჟი, ცნობილი მოქანდაკე, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი გ. მიზანდარი, მოქანდაკეები ა. კიკვაძე, რ. მნაცაკანიანი, ზ. წითაშვილი, გ. ობიძე, გ. ლომთათაძე, მხატვრები ჯ. ფაჩუაშვილი, ბ. ზებიერიძე, ო. ქინდარია, კ. ფაჩუელია, გ. დოლეხაშვილი ა. ქეცლიძე, გ. გაგოშიძე და სხვები.

თავისი ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე ვ. მიზანდარმა ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები შექმნა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი ფიგურული და კომპოზიციური ნამუშევრები: „კიკვიძე" (თანაავტორი გ. ნიკოლაძე), „ვ. ი. ლენინი" (დგას ქ. ყაზანში), „ედგა ბავშვიათ", „მიიკოფსკი" (თანაავტორი გ. ნიკოლაძე), „ქალიშვილი", „უკანასკნელი მეკურტნე", „პატარა ბებია", ბარელიეფები „თამარ მეფე", „შოთა რუსთაველი", „ილია ჭავჭავაძე", „გალაქტიონ ტაბიძე", პოეტების კოლაჟ ნადირაძის, ანდრია სინაურის, ფომენტი თომაშვილის, მსახიობების აკაკი ვასაძის, იპოლიტე ხვიჩიას, შალვა ხონელის, თეიმურაზ ლორთქიფანიძის, ვეტერანი კომუნისტის დიმენტი აბაშიძისა და სხვათა პორტრეტები.

ვალერიან მიზანდარი ბევრ შესანიშნავ მეცნიერს, მწერალსა და ხელოვნების მუშაკს იცნობდა და პირადი ურთიერთობა ჰქონდა თვალსაჩინო თანამედროვეებთან. მწერლებთან სიახლოვემ მას უკარნახა ჩანაწერება გაეკეთებინა ხოლმე და შემდეგ ნოველებსა და მოთხრობებს სახით წარიდგინა საზოგადოებისათვის. ჯერ კიდევ იაკობ ნიკოლაძის სიცოცხლეშივე დაისტამბა ვალერიან მიზანდარის მოთხრობები, რომლებიც დიდ მაესწავლებელს მიუძღვნა და საერთო მოწონება დაიმსახურა. ვ. მიზანდარს არასოდეს დავიწყებია სახელოვანი მასწავლებლის ამაგი და მასზე მოგონებები გამოაქვეყნა კიდევ სხვადასხვა დროს ჟურნალ „ლიტერატურასა და ხელოვნებაში", ეროვნულ „საბჭოთა ხელოვნებაში", ხოლო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" 1977 წელს ცალკე წიგნად გამოსცა მოთხრობების კრებული „ვერონეზეს ცა".

ახლახან ქართველმა ხალხმა, ქუთაისის საზოგადოებრიობამ ლეგენდარული ხელოვანის დაბადების 70 წლისთავის იუბილე გადაუხადეს და ერთხელ კიდევ უსურვეს დღეგრძელობა ქართული ხელოვნების სასიკეთოდ.

Დ. ᲒᲔᲓᲔᲜᲘᲫᲔ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲛᲘᲖᲐᲜᲓᲐᲠᲘ თავის სახელოსნოში.

ᲨᲔᲛᲝᲒᲕᲘᲜᲐᲮᲐ ᲥᲕᲔᲚᲛᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲡᲘᲙᲔᲗᲔ

ᲐᲛ ᲪᲝᲢᲐ ხნის წინათ თბილისს ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში გაიმართა მედუდუკეთა ანსამბლ „მტკვრის" საღამო, რომელიც ხსნ ქაკშიის შექმნის 60 წლისთავს მიეძღვნა.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა და პროგრამა საინტერესოდ წარმართა ანსამბლის სოლისტმა რ. რამაზაშვილმა. მსმენელის გული მოინდირა ამ ხალხურმა შემოქმედებითმა კოლექტივმა, რომლის მხატვრული ხელმძღვანელია დუდუკის მოტრფიალე და თაყვანისმცემელი ლევან ამირხანიანი. ანსამბლის რეპერტუარში ძირითადად შედიოდა ქართული ხალხური პანგები და ძველი თბილისის ფოლკლორული მოტივები, ოდითგანვე რომ სისხლხორცეული იყო მრავალეროვან ძველ თბილისში.

აქ ხომ კონცერტებს მართავდნენ ისეთი ცნობილი მუსიკოსები, როგორიც იყვნენ ხაჩე ტალგუაშვი (მედუდუკეთა პირველი ანსამბლის შემქმნელი), ბაგრატ ბაგრამოვი, პავლე მისიურიძე, დავით ზაბაბაოვი, დავით ზუბიაშვილი, ბიბილო სუქიასოვი და სხვანი. სწორედ ამ უკანასკნელის მოწოდებ ითვლება დღეს უკვე საკმაოდ ცნობილი, დუდუკის მესაიდუმლე და მრავალ ხმებში ამმეტყველებელი ლევან ამირხანიანი.

ქართული ქალაქური ფოლკლორის ადგენა-განვითარებაში დღეს სასიკეთო ძვრები შეიმჩნევა. ამ საქმის ერთერთი მომაგვა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლთან არსებული კლუბის „ქართული დუდუკის" თავმჯდომარე ტ. ნაცვლიშვილი — მედუდუკეთა ანსამბლების შექმნა-ჩამოყალიბების ორგანიზატორი. მისი თაოსნობით 1979 წელს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საზოგადოება „ცოდნისა" შეიქმნა კლუბი „ქართული დუდუკი". იმავე წლის ოქტომბერში გაიმართა პირველი კონცერტი, რომელიც მიეძღვნის ინსტიტუტის დაარსების 50-ე წლისთავსა და პირველ „თბილისობას", ხოლო 1980 წელს ივნისში გამართული სალამო გამიზნული იყო ახალგაზრდობის XI მსოფლიო ფესტივალის ლაურეატის, სახალხო ანსამბლ „გორდას" დაარსების 35-ე წლისთავისათვის.

ტ. ნაცვლიშვილის ენთუზიაზმით საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში ამჟამად მედუდუკეთა 9 ანსამბლია, რომლებშიც გაერთიანებულია ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა ეროვნების მუსიკოს-შემსრულებლები. მათ საინტერესო რეპერტუარი აქვთ.

ამჟერად ანსამბლი „მტკვარი" მცირე პროგრამით წარდგა მაყურებელთა წინაშე, მაგრამ მაინც მოწონება და ოვაცია დაიმსახურა. ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი წვერმბოან ერთად დღეთადღე ხვეწს საშემსრულებლო ხელოვნებას, ამრავალფეროვნებს სასიმღერო რეპერტუარს. მან ინდივიდუალური შემსრულებლებისაგან ჩამოაყალიბა დასი, რომელსაც შეუძლია წარმატებით გამოვიდეს ფართო აუდიტორიის წინაშე. აღსანიშნავია ისიც, რომ გუნდში ჰყავთ სოლისტი და ხალხური მოქმელი ი. რაფავილი, რომელიც საკუთარ ლექსებს ამღერებს ქართული დუდუკის თანხლებით.

მსგავსი საღამოები უთუოდ ხელს შეუწყობს აგრეთვე ზოგიერთი მივიწყებული ქართული პანგის აღდგენას.

ᲤᲠ. ᲡᲝᲛᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲔᲑᲖᲔ

ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ წაბლარას წყლის ლამაზ ხეობაში, ზღვის დონიდან 930 მეტრ სიმაღლეზე გადაჭიმული კურორტი საირმე. წლითწლობით მშვენდება ეს ჯანმრთელობის ეკო, იზრდება მისი პოპულარობა. აჭაფი მინერალური წყალი კარგ გავლენას ახდენს თირკმლების, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადების, რევმატიზმის მკურნალობაზე.

ახლახან საირმეში მწყობრში ჩადგა 80-კაბინიანი ახალი საბანაბანი შენობა. ერთი საათის მანძილზე სამკურნალო ახანებს იღებს 80 ავადმყოფი.

● ●



ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: ლამაზ ხეობაში გაშლილა კურორტი საირმე; ახალი საბანაბანი შენობა.

ᲛᲐᲡᲘᲜᲯᲔᲚᲘᲐ ᲡᲐᲘᲠᲛᲔ

Გ. ᲒᲔᲠᲡᲐᲛᲘᲐᲡ ფოტო (სპეციალური ფოტოქრონიკა).

ᲔᲕᲠᲝᲠᲐᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ ᲔᲡᲢᲐᲤᲔᲢᲐ

ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ დღე ევროპის მრავალ ქვეყანაში დიდი საფებურთო ბატალიებით აღინიშნება. სწორედ დღეს გაიმართება ევროპის ტურნირების სასტარტო მატჩები, რომლის მონაწილეთა შორის საბჭოთა ფეხბურთელებიც არიან. უეფას თასის გათამაშების პირველ ოცდამეთრმეტედფინალურ მატჩებში ეროცლავს „ბლიინსკი" უმასპინძლებს მოსკოვის „დინამოს", თბილისის „დინამო" — ნეაპოლის „ნაპოლი", ხოლო გუშინ „სპარტაკმა" მიიღო ლონდონის „არსენალი" და იგი დიდმოცვარდა მოსკოველთა გამარჯვებით — 3:2. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების საწყის ეტაპზე კიევის „დინამოს" ეგებოდა „ნაპოლი", ხოლო თასების მფლობელთა თასის გათამაშების პირველ მატჩს მოსკოვის „ტორპედო" საკუთარ მოედანზე მიუნხენის „ბაიერნთან" გამართავს. ცხადია, ეს შეხვედრები და ისინიც, რომლებიც ევროპის დანარჩენი გუნდები ისასარეზენენ, ფეხბურთის გულშემატკივრთა დიდ ინტერესს იწვევენ.

გასაგები მიზეზების გამო ჩვენი ყურადღების ცენტრში იქნება თბილისის „დინამოსა" და „ნაპოლის" შეხვედრა. ბუნებრივია, ძველებურად ამოვიდგენთ მხარში დინამოელთა კოლექტივს და თავისებურ წვლილს გავიღებთ იმისაოვის, რომ „ფეხბურთ" წარმატებით ისასარეზოს. ამასთან დაკავშირებით, ალბათ, ურიგო არ იქნებოდა, თუ „დინამოს" ყველა გულშემატკივარს გავაცნობდით ახლახანს თბილისში სტუმრად მყოფი ევროპის ფეხბურთის ასოციაციათა კავშირის გენერალური მდივნის ჰანს ბანგერტერის გამონათქვამს: „ევროპის ტურნირების მოწყობის ფორმულებში სიახლეები არ არის. მაგრამ მინდა ყველას ყურადღება გავამახვილო იმ ზოგიერთ ორგანიზაციულ ცვლილებაზე, რომელთა შესახებ მაღრიდში, მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში გამართულ ფიფას 43-ე კონგრესზე თამაშის წესების საერთაშორისო საბჭომ იმსჯელა. საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მაკარი სანქციები გამოიყენონ „ოთხი ნაბიჯის" წესის დამრღვევი მეკარეების მიმართ, რათა ამით გამოირიცხოს დროის „გაჭიანურება". გარდა ამისა, განსაკუთრებული ბრძოლა ექნებათ გამოცხადებული უხეშ მოთამაშეებს და ტრიბუნებზე ეთიკური ნორმების დამრღვევთა. ფიფამ ამ მხრივ მოქმედება უკვე წლევანდელი სეზონიდან ეკრძალა ეს იტალიელ ექსპერტებისგან დაიწყო" — ალბათ, ფიფო გასაგებად ვერ იტყვი. ამიტომ მაყურებლებში, თავიანთი გუნდების უყოლიად თავგანმდგარ გულშემატკივრებშიც კი არბილეს მოქმედებამ ამ „ოთხი ნაბიჯის" წესის დარღვევებსთან დაკავშირებით, უხეშ მოთამაშეებისა თუ ეთიკური ნორმების დამრღვევთა მიმართ სიმკაცრემ, ცხადია, სწორი და ამასთან თავდაპირელი რეაქცია უნდა გამოიწვიოს.

ალნიშნულ ცვლილებათა შესახებ ოფიციალურად ეცნობათ მწერთნელებსა და ფეხბურთელებს. ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ტურნირებისათვის მზადების დღეებში მწერთნელებმა თავიანთ კოლეტივებში სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა გასწიეს და ამ მხრივ, არც თბილისის „დინამოა" გამონაკლისი.

ჩვენმა დინამოელებმაც იციან, თუ რაოდენ იზრდება მათი პასუხისმგებლობა ზემოაღნიშნულ სიტუაციებში. ფეხბურთელთა კარგი და კორექტული თამაშის, არბიტრების მიუკერძოებლობის, თამაშის წესების ცოდნის, მაყურებელთა ობიექტური და ზომიერი ემოციების ჰარმონიას რა სჯობს?! ყველამ უნდა ვიბრძოლოთ ასეთი ჰარმონიის დამყარებისათვის. ამით ხომ ფეხბურთიც და მისი გულშემატკივრიც მოგებული დარჩება.

ახლა კი მოკლედ იმ მატჩის მონაწილე გუნდებზე, რომელთა თამაშის უშუალო მოწმენი ვიქნებით. გუშინ „ნაპოლიმ" ივარჯიშა. მათ შორის ვიხილეთ ჩვენი ძველი ნაცნობები — კასტელინი, ბრუსკოლუტი, ფერარიო, ვინაკინი და პელეგრინი. ეს ის ფეხბურთელები არიან, რომლებმაც ოთხი წლის წინათ თბილისში „დინამოს" წინააღმდეგ ითამაშეს. „ნაპოლის" ძველი შემადგენლობიდან მარტო ეს ხუთეული დარჩა და გუნდი შესამჩნევად დადახალისდა. მისი ახალი მწერთნელი მასიმო ჯაკმინი დიდ იმედებს ამყარებს ქოლანდიელ რუუდი ტროლზე და არგენტინელ რამონ დიასზე: „ერთი დაცვის ბურჯია, მეორე კი მძლავრი შეტევი ძალაა". მწერთნელებმა წინასწარი „დაზვერვითი" მუშაობა ჩაატარეს და ცხადია თავ-თავიანთ საფეხბურთო ბანაკებში თამაზინთ მოსაზრებები გაანდეს სპორტსმენებს, კონკრეტული დავალებებიც მისცეს, რომელთა ამოქმედებას გულშემატკივრები დღევანდელი მატჩის დროს შეაღაბებენ. დინამოელთა მწერთნელი ნოდარ ახალაია იტალიაში „ნაპოლის" ორ მატჩს დაესწრო და მოსკოვიდან თბილისს მომავალი დაგვემზადაო. ახალაიას საკმაოდ მაღალი შეფასება მისცეს „ნაპოლის", და გვითხრა, რომ ახალი ყ